

2018 წლის 20 სექტემბერი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

სხდომის ჩატარების ადგილი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

მისამართი: ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 33

სხდომას ესწრებოდნენ: **რაჟდენ კუპრაშვილი** - კომისიის თავმჯდომარე, **დავით ახალაური** (კომისიის წევრი) **ლელა ბჟალავა** (კომისიის წევრი) **თეიმურაზ მესხი** (კომისიის წევრი)

სხდომას არ ესწრებოდა: **ნუნუ კვანტალიანი** (კომისიის წევრი)

სარევიზიო კომისიის კოორდინატორი - მედეა გამდლიშვილი

სხდომის დაწყების დრო- 17:00 საათი

სხდომის დასრულების დრო - 18:20 საათი

დღის წესრიგი:

1. შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტის საპროექტო დასკვნის გაცნობა.
2. სხვადასხვა.

სხდომას ესწრებოდა აუდიტორული კომპანიის შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წარმომადგენელი - ჯუმბერ ბოხაშვილი, ასოციაციის ყოფილი ბუღალტერი - გელა არსენაშვილი, ასოციაციის ბუღალტერი - მედეა გამდლიშვილი.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტის საპროექტო დასკვნა და სთხოვა დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია წარმოდგენილ საპროექტო დასკვნასთან დაკავშირებით.

1. კომისიის წევრებმა ბიუჯეტით გაწერილი თითოეული მუხლის ხარჯვითი ნაწილი განიხილეს დეტალურად.

ბატონმა რაჟდენმა მოითხოვა განმარტება, რამ გამოიწვია კომიტეტების ხარჯის 396,40%-მდე გაზრდა და რატომ ვერ იქნა ათვისებული სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯის 36,89%-ზე მეტი. ბატონმა გელამ განმარტა, რომ წლის განმავლობაში დაგეგმილი საზღვარგარეთის ვიზიტების გარდა განხორციელდა დაუგეგმავი ვიზიტები, რამაც გამოიწვია კომიტეტების ხარჯის ზრდა. რაც შეეხება სასწავლო ცენტრის ხარჯებს, მისი ათვისებლობა გამოწვეულია დონორების მიერ ცენტრის დაფინანსებით.

ბატონმა დავით ახალაურმა კითხვით მიმართა გელა არსენაშვილს, განემარტა ბიუჯეტის ხარჯვის რომელ ნაწილში მოიაზრება რეგიონების ოფისების რემონტის ხარჯი, ბატონმა გელამ განმარტა, რომ რეგიონებზე გაწეული ნებისმიერი ხარჯი, მათ შორის სარემონტო ხარჯი ფინანსდება რეგიონალური განვითარების ხარჯებიდან.

ბატონმა თეიმურაზ მესხმა მიმართა კითხვით გელა არსენაშვილს, ტენდერებში თუ იღებს ასოციაცია მონაწილეობას. ბატონმა გელამ განმარტა, რომ როდესაც შესასრულებელი სამუშაოს ბიუჯეტი მოიცავს მთლიანი ბიუჯეტის 10%-ს მაშინ ხდება ტენდერის გამოცხადება, ასეთი ხარჯი ასოციაციას 2017 წელს არ ქონია.

ბატონმა თეიმურაზმა ასევე გამოთქვა მოსაზრება, ბიუჯეტის მუხლის „სხვადასხვა“-ს ქვეპუნქტი „სხვა“-ს გაშიფვრა რომ მოხდეს და ბიუჯეტში შესაბამისი დასახელებით იყოს გაწერილი, რა ხარჯებსაც ის რეალურად მოიცავს. ბატონმა გელამ შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წარმომადგენელთან ერთად განმარტა, რომ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებს სხვა ხარჯების მუხლს - ისეთი ხარჯებისთვის, რომლის წინასწარ დაგეგმვა ვერ მოხერხდება (როგორცაა, მაგ: ვაკანსიების განთავსება შესაბამის საიტზე, თანამშრომელთა შესარჩევად, ნოტარიული მომსახურება სხვადასხვა საჭიროებებისთვის, ასოციაციის ბეჭდის დამზადება და მსგავსი სახეობის ხარჯები) და ასევე, მისი რაოდენობა არსებითად დიდი არ არის და არ საჭიროებს ცალკე მუხლად გამოყოფას.

ბატონმა რაჟდენმა დააფიქსირა პოზიცია: იქიდან გამომდინარე, რომ აუდიტის დასკვნა მოიცავდა ბატონი ზაზა ხატიაშვილის თავმჯდომარეობის პერიოდის ბოლო წელს, იმის მიუხედავად, რომ ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლების ხარჯვითი ნაწილი ასოციაციას საკმაოდ

დიდი ქონდა, მაქსიმალურად მინიმალური ხარჯებით არის დაკმაყოფილებული ყველა საჭიროება.

კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს პრეტენზიები არ გამოუთქვამთ და ერთხმად დაამტკიცეს შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა.

2. ბატონმა რაჟდენმა განსახილველად დააყენა შემდეგი საკითხი: 2017 წლის ბოლოს ხანძრის შედეგად ასოციაციას მიადგა მნიშვნელოვანი ზარალი, რამაც გამოიწვია ასოციაციის შენობის ღირებულების ცვლილება, ამიტომ საჭიროა მოწვეულ იქნას დამოუკიდებელ სპეციალისტთა ჯგუფი და მოხდეს ასოციაციის შენობების შეფასება საბაზრო ფასით.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ინიციატივას. ასოციაციის ბუღალტერს დაევალა შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, მოძიებულ იქნას დამოუკიდებელ სპეციალისტთა ჯგუფი 15 დღის ვადაში.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე- რაჟდენ კუპრაშვილი

წევრი- დავით ახალაური

წევრი - ლელა ბჟალავა

წევრი - თეიმურაზ მესხი